№ 109
პარასკევი, 6 ივნისი 1897 წ.

გაზეთი ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
1	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
	8	—	3	3	50
1	7	25	2	2	75
1	6	50	1	1	50

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერია

1877—1897

№ 109
პარასკევი, 6 ივნისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შვილები კნეინა ბარბარე ხიდირბეგოვისა და მაგდან ტერიევისა, სიძე თავ. კონსტანტინე ხიდირბეგოვი და რძალი სოფიო ფავლენიშვილისა განსვენებულის კნეინა **ნინო ბექანის ასულის ფავლენიშვილისა** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ 7 ივნისს მისის გარდაცვალებიდგან წლის თავის შესრულებასა, სთხოვენ მობრძანდნენ ამ დღეს ს. ერედვის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (1—6.—1)

„ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ამა წლის 14 ივნისს, შაბათს, საღამოს 8 საათს, დანიშნულია **წლიური საზოგადო კრება** ამხანაგობის წევრთა.

კრების საქმენი:

1) განხილვა და დამტკიცება 1896 წლის ანგარიშისა.
2) განხილვა და დამტკიცება ამ 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.
3) არჩევა გამგეობისა, სარედაქციო და სარევიზიო კამისიების წევრთა.
4) მიღება ახალ წევრთა.
5) დივიდენდის განაწილება.

(3—6—1)

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებლის თ. გოლიცინის მეუღლე კნ. მარიამ თეოდორეს ასული,—წმ. ნინოს სასწავლებლის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარედ.

მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ტაინი სოვეტნიკი ბ-ნი იაკიმოვი—დანიშნულ იქმნა წმ. ნინოს სასწავლებლის საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრად და ამავე საზოგადოების საქმეების გამგედ.

უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის განკარგულებისამებრ, კიშინოვის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი გძელიშვილი—დანიშნულ იქმნა ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწის გენერალ-ლეიტენანტის ფრეზეს თავჯდომარეობით და კავკასიის გუბერნატორთა მონაწილეობით შესდგა კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საჭიროა თუ არა ქალაქების და სამაზრო პოლიციის შტატების გამრავლება და პოლიციის მოხელეთათვის ჯამაგირების მიმატება.

⁂ ტფილისის კადეტთა კორპუსში წელს 34 კაცს გაუთავებია სწავლა. ამათში შვიდი ქართველია, რომელნიც შემდეგ მაღალ სასწავლებლებში აპირებენ შესვლას: ალექსანდრეს ქვეითა რაზმის სასწავლებელში—მიხეილ იმნაძე, ვიქტორ მდივანი და ერასტი ფურცელაძე; კონსტანტინეს არტილერიის სასწავლებელში—ნიკოლოზ ზედგინიძე და თავ. როსტომ წერეთელი; ნიკოლოზის საინჟინერო სასწავლებელში—თავ. დავით ქავჟავაძე; ტეხნიკურ მაღალ სასწავლებელში—მიხეილ ბერიძე.

⁂ 4 ივნისს ტფილისის დედათა მე-III გიმნაზიაში მოხდა წლიური აქტი, რომელსაც დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ. საანგარიშო წელს გიმნაზიაში სულ 298 მოსწავლე ქალი ყოფილა. ეროვნობის მხრით ასე განაწილდებიან: ქართველები—7,1%, სომხები—65,5%, რუსები—19,1%, ებრაელნი—2,0% და სხვა ეროვნებისანი—5,7%. წელს სწავლა გაუთავებია სულ 20 მოსწავლე-ქალს, ამათში ქართველი მარტო ორი ყოფილა—სოფიო მამრაძე და კნიაჟ ივლიტა ფალავანდიშვილისა.

⁂ წელს ტფილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაამთავრეს და ნება ეძლევათ ეგზამენიის დაჭერისა ტფილისისა და ქუთაისის სემინარიებში 26 მოსწავლეთ. ამათში 14 ქართველია, 6 რუსი და 6 ბერძენი. გარდა ტფილისის და ქუთაისის სემინარიებისა, 9 პირველ ხარისხის და 5 მეორე ხარისხის მოსწავლეთ შეუძლიანთ უეგზამენოდ რუსეთის სემინარიებში შევიდნენ. მოგვყავს აქვე სია ქართველ მოსწავლეთა პირველის ხარისხით: ტოროშელიძე მალაქია, ქარუმიძე დავითი, ხუციშვილი იოსები, თოფურიძე მიხეილი; მეორე ხარისხით: ცაგარელი სიმონი, ნაცვლიშვილი გაბრიელი, პეტრიაშვილი ნიკოლოზი, მარინაშვილი მირონა, თაყაიშვილი ზაქარია, მოლოდინაშვილი ვასილი, ინდოშვილი მიხეილი, ღვთისავარიშვილი ნიკოლოზი, ჭილიაშვილი მიხეილი, გოგოლაძე გრიგორი.

მთელს სასწავლებელში ამ ჟამად ზემოდ დასახელებულთ გარდა ითვლება 177 მოსწავლე. მათგან განყოფილებიდგან განყოფილებაში და კლასიდგან კლასებში გადვიდა 120 მოსწავლე. განსამეორებელი ეგზამენები დაენიშნა 40 მოწ., დარჩნენ იმავე კლასებში და მოსამზადებელ განყოფილებებში 14. დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდგან 3, ამათგან ერთი დიდ-წლოვანობისა და ორიც ცუდად სწავლისა გამო. მეოთხე კლასში სულ 26 მოსწავლე იყო.

⁂ რადგანაც ამ ბოლო წლების მოუსავლობით თელავის მაზრის მცხოვრებელნი ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, ტფილისის გუბერნატორს შუამდგომლობა დაუწყვია უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ზემო დასახელებულ მაზრის მცხოვრებელნი აღარ იქმნენ გაწვეულნი ბეგარაზედ ანანურ-თიონეთის გზის შესაკეთებლად და იმის მაგიერ ფული გაეწეროთ. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

⁂ 2 ივნის ქალაქის სამკურნალოში იდღესასწაულეს ამავე სამკურნალოს ფერშლის დ. ე. გოთვაძეს 5 წლის სამსახურის შესრულება. ბ-ნი გოთვაძე ამ ხნის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა თურმე სამკურნალოს და ყველას პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. სადილს დაესწრებიან: ქალაქის გამგეობის წევრი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი, სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი, ექიმები: თარხანოვი, კასუმოვი და სხვანი.

⁂ სათავად-აზნაურო თეატრში მომავალ ზამთრის სეზონში წარმოდგენებს გაჰმართავს თურმე სადოვსკის მალოროსიული დასი.

⁂ 1 თიბათვეს რკინის გზის სადგურ ალტაგლის მახლობლივ, იმ ადგილას, საცა მტკვარი ორად იყოფა და შუაში კუნძულია, იპოვეს კიდევ 4 გვამი მ-44 ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკისა, იმ 19 ჯარის-კაცთაგან, რომლებიც ფურგუნიანად ნიაღვარმა მოიტაცა 29 მაისს. სახე და ტანი ისე აქვთ თურმე დაჩეჩქვილ-დაბეგვილი, რომ შეუძლებელია კაცმა იცნოს, თუ რომელ ჯარის კაცთა გვამებია. ტფილისის პოლიცმეისტერმა მიჰმართა [illegible] ქვემოდ მდებარე მაზრის უფროსებს და სთხოვს, საჭირო ღონისძიება მიიღეთ, რომ დანარჩენ 9 ჯარის კაცთა გვამიც იპოვოთ როგორმეო.

⁂ გაზ. „კავკას“-ი ამბობს, რომ, როგორც შევიტყეთ, ახალ საბჭოს ხმოსანს ნ. ი. თამამშევს საჩივარი შეუტანია, რომ ხმოსანთა წრევანდე-

ფელეტონი

ნაწყვეტი

თინამზე შეყვარებული,
იჭვით გულს ლახვარ-სობილი,
ძვალ-ტყავად იქცა საბრალო,
უიმედობით პყრობილი;
ლიმონის ფერად იცვალა
ვარდი ალის ფრად პობილი...
სიყვარულითვე მორჩება
სიყვარულისგან დნობილი!

დ. მაჩხანელი

თიანეთის სავაჭრო ამხანაგობა

ამ უკანასკნელს დროს საქართველოში კვლავ იჩინა თავი შეერთებულის ძალით ჩვენის მეტად ჩამორჩენილის ეკონომიურის ყოფა-მდგომარეობის განკარგების სურვილმა. მართალია, ამ ათი-თხუთმეტი წლის წინადაც ამავე ძალით აღიჭურვა ჩვენი ხალხი და დიდის იმედებითაც გამოვიდა ხსენებულს სარბიელზე საბრძოლველად, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო იგი ძალა მალე დასუსტდა, განკერძოვდა და სამოქმედო ასპარეზს მალე გამოეთხოვა.

დღეს, რაკი ხალხი წარსულის მაგალითსაც-კი აღარ შეუშინდა და კვლავ შეერთებას ისწრაფის და შეერთებულ მოქმედებას იწყებს, საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხალხი წინანდელზედ უფრო მომზადებული არ იყოს და უფრო ნათლად არა ჰქონდეს შეგნებული შეერთებულის ძალით შრომის დიადი მნიშვნელობა. სასურველია, რასაკვირველია, რომ ახლად გაღვიძებულს საქმეს წარსულის მარცხის მიზეზები შეძლებისადა გვარად ასცდეს, უფრო მკვიდრად მოიკიდოს ფეხი და სარგებლობის მოტანა შესძლოს.

ამისათვის საჭიროა ყველამ, ვისაც-კი შეუძლიან, ახლად საქმის დამწყებთ ამგვარივე ამხანაგობათა წარსული ამბავი სავსებით აუწყოს. აი, სხვათა შორის, ამ მიზეზითაც გვსურს საზოგადოებას გავაცნოთ თიანეთის სავაჭრო ამხანაგობის შვიდმეტის თვის არსებობის ამბავი. თუმცა იგი სულ შვიდმეტი თვეა რაც დაარსდა და დღესაც ჰმოქმედობს, მაგრამ ამ მცირე არსებობის დროსაც ნათლად იჩინა თავი არა ერთმა და ორმა იმ მიზეზთაგანმა, რომელთაც წინად ყოფილს ამ გვარსავე ამხანაგობათ უდროოდ მოუსპეს სიცოცხლე.

თიანეთის მაზრა ჩვენის ქვეყნის სხვა მაზრებთან შედარებით თითქმის რომ ყოველმხრივ მეტად არის ჩამორჩენილი და სწორედ ამ ჩამორჩენით ვისაც და როგორც-კი შეუძლიან, მეტად აღვირ წაყრილნი სარგებლობენ. ეს მაზრა შეჰხიზნებია უზარმაზარს მთებს, იქიდგან მედიდურად გამოიყურება და მედიდურადვე უფრთხის ყველა იმას, რასაც-კი შეუძლიან მცირედ მაინც არის წინ წასწიოს მისი ხორციელი და სულიერი სიცოცხლე.

სწავლა-განათლების მხრივ აიღებთ თუ სხვა მხრივა, თიანეთის მაზრა ყველაზედ უკან ჩამორჩენილია.

ამ გარემოებით აიხსნება, რომ თიანეთის მაზრის სვე-ბედის მომვლელ-პატრონად, მკვიდრნი-კი არა, დროებით მოსულნი არიან. კიდევ კარგი, თუ დროებით მოსული მხოლოდ დღეის კვერცხზედ არა ფიქრობს და თავის აქ ცხოვრების კვალის დარჩენაზედაც ჰზრუნავს. უკანასკნელს შემთხვევაში, თუ ზრუნვა განკერძოებულისა-კი არა, საზოგადო სენის საბრძოლველად არის გამოწვეული, რასაკვირველია, მისთვის საჭიროა თვით მკვიდრთა დაახლოვება და მათთან ერთად მუშაობა. სწავლა-განათლების მხრივ და ეკონომიურად არა უზრუნველ ყოფილს ხალხზედ ძნელია სიტყვიერად მოქმედება. მოქმედება ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ცხოველ-მყოფელი თვალსაჩინო საქმის ზედ-გავლენა, აი ეს გარემოება წაიმძღვარა თიანეთში დროებით მყოფთა პატარა წრემ და თიანეთში შეერთებულის ღონით სავაჭრო ამხანაგობის დაარსება განიზრახა.

მცირედი წრე არ შეუშინდა იმ გარემოებასაც-კი, რომ ამ ცხრა-ათის წლის წინად აქ არსებული სავაჭრო ამხანაგობის უდროოდ მოსპობამ მდაბიო ხალხში არა-სასიამოვნო მოგონებანი დასტოვა. წარსულის მაგალითით შეშინებული ხალხი ახლად დაწყებულს წარსულის მაგვარსავე საქმეს ძნელად-ღა მიეკარებოდა, მაგრამ საქმის მოთავენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თვით საქმის წესრიგობა, ჯეროვანი წარმოება და უცილობელი სარგებლობა ხალხში, უცებ თუ არა, ნელ-ნელა მაინც არის თანაგრძნობას გამოიწვევდა. სწორედ ამიტომ საქმის დამწყებთ საქმის დასაწყობად, მიჰმართეს მხოლოდ მათ, რომელთა მონაწილეობის სრული იმედი ჰქონდათ. რამდენსამე თვეში მსურველთა საკმაო რიცხვი შეიკრიბა და საქმის დაწყებამდე საჭირო წესდება (ხელ-შეკრულობაც) შეადგინეს. როგორც წესდებაში, აგრეთვე ამხანაგების კერძო კრებების დროს ამხანაგობის აზრი ნათლად გამოირკვა. ერთ-ურთის რწმენაზედ დაარსებულს ამხანაგობას საფუძვლად დაედო, რაც შეიძლება ჯეროვანის ღირსების და იაფად სავაჭროს მიწოდება როგორც თავის ამხანაგების, აგრეთვე გარეშე მყიდველთათვისაც.

საქმის დასაწყებად თანხა (600 მანეთი) ერთს თვეზედ შეიკრიბა და 1895 წლის 1 აგვისტოს ამხანაგობამ ვაჭრობა დაიწყო. ამხანაგობის წესდებაში საქმის დამწყებთა აზრიც არ არის დავიწყებული, რადგან პატარა თანხით დაწყებული სავაჭრო გაუფართოვებლად მაზრის დიდს იარას ვერაფერს წამლობას გაუწევდა.

წესდების შემადგენელთ ქართველს ჩვეულებრივი დაუდევრობა არ დაჰვიწყებიათ. წესდების მე-13 §-ით ამხანაგობის წევრს ნისიად მხოლოდ თავისის წილის ფულის ნახევრის საფასურის სავაჭროს წაღება შეუძლიან, ისიც განსაზღვრულის ვადით. ჩვენში არსებულ სავაჭრო ამხანაგობათა ბოლოს მომღებ მიზეზთა შორის არა მცირედი ადგილი ეჭირა ამხანაგობის წევრთა მიერ ნისიად საქონლის გატანას რაოდენობის განუსაზღვრელად და ვადის აღუნიშვნელად. ასეთი ამხანაგობანი მომე-

ლი არჩევანები უკანონო იყო, რადგან არჩევანებში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა, სასმელის დუქნების პატრონთ და კიდევ 4 სხვამ, რომლებიც სამართალში არიან მიცემული და რომელთა საქმეც გამომძიებელსა აქვსო.

⁂ ქ. ქუთაისი. ამას წინად რუსეთის გაზეთებში იყო მოხსენებული, რომ საზღვარ გარედ შესდგაო ახალი სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს შეისყიდოს რუსეთის რკინის ქარხნებიო. ეხლა როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, ამ საზოგადოებას, „ნახშირის“ სააქციონერო საზოგადოებას, ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოებას და ინჟინერ ბოგაჩნთან ერთად განჯის გუბერნიაში შეუძენია რკინის მადნები და ქუთაისის გუბერნიაში აპირებენ რკინის ქარხნის გამართვას. ამას წინად ამ საგნით საფრანგეთიდგან მოვიდნენ ჩვენ ქვეყანაში ერთი ინჟენერი ბ ბანკირი მაასი და ერთი თვის განმავლობაში ქარხნისთვის შესაფერი ადგილიც ამორჩეული იქნება. უთუოდ ქუთაისის ქალაქის საბჭო ისარგებლებს ამ შემთხვევით და ეცდება, რომ ქარხანა ქუთაისის მახლობლად გაიმართოს, რადგანაც იგი ბევრს სარგებლობას მოუტანს როგორც ქალაქს, აგრეთვე ახლო-მახლო მდებარე სოფლებს. („ახ. მიმოხ.“).

⁂ დ. სამტრედია. 3 ივნის, საღამოს 9 საათზე, აქ ჩამოვარდა მეხი, რომელიც დაეცა რკინის გზაზედ წყალის საქაჩავ აპპარატს. დუქნებში მაშინვე ლამპარები გაქრა. უბედურება არა მომხდარა-რა, ხოლო აპპარატთან იდგა ორთქლ-მავალი და შიგ მემანქანე გარუჯა.

⁂ სურამი. 3 ივნისს, ნაშუადღევის ორ საათზედ ქოჩორის მთის ახლო მდებარე სოფლები დასეტყვა. სეტყვამ გასტანა ცხრა წუთს და საკმაოდ დააზარალა სოფლები ტეზერი, გვერდისუბანი, ბეკამი, სურამი და აგრეთვე ბედლეთი.

⁂ ქ. გორი. ამას წინად ჩვენის ქალაქის რწმუნებულთა კრებაზე განხილულ იქმნა ის საგანი, მიიღოს თუ არა ქალაქმა მონაწილეობა იმ ხარჯში, რომელიც მდ. ლიახვის ნაპირების გამაგრებას დასჭირდება. ჩვენის ქალაქის ფინანსები ამ ჟამად იმდენად ცუდს მდგომარეობაშია, რომ უბრალო მოთხოვნილებათაც-კი ვერ აკმაყოფილებს. ამის მიზეზი ის არის, რომ ქალაქმა აუარებილი ხარჯი გასწია ფშანზედ ახალი ხიდის გაკეთებისათვის, ნაცვლად ძველისა, რომელიც წყალმა წაიღო, ქალაქის ბოლოზედ და სხვ. ამიტომ კრებამ დაადგინა ვერ მივიღებთ მონაწილეობას ლიახვის ხიდის გამაგრებაში, თუმცა კი ძალიან სასურველი იყო დახმარება გაგვეწია, რადგანაც ლიახვი ძალიან ბევრს ზარალს აყენებს ქალაქსაო.

◆ ◆

შეცდომის გასწორება

„ივერიის“ მე-105 №-ში დაბეჭდილი იყო ამბავი სამტრედიიდგან, რომ კალაძემ დასჭრა ზამთარაძეო. ეს შეცდომაა. უნდა იყოს: კალაძემ დასჭრა ზამბახაძე.

◆ ◆

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება

4 ივნისი.

კრება დაიწყო საღამოს $7^1/_2$ საათზედ წარსულს კრებაზედ წაკითხულ მოხსენების გასინჯვით. მოკლედ მოვიხსენიებთ, თუ ამ ორის სეზონის — $9^5/_{96}$ და $9^6/_{97}$ წლ. განმავლობაში რა გაუმჯობესება დასტყობია ქართულის თეატრის საქმეს საზოგადოების მიერ ამორჩეულ გამგეობის წევრთა მეცადინეობით.

პირველი და უმთავრესი აზრი, რომელსაც საზოგადოების წესდებაც ავალებს გამგეობას, შემდეგი ყოფილა: გაუმჯობესება რეპერტუარისა, გარდერობის შევსება და გალაზათიანება, ყველა ნიჭიერ ქართველ მსახიობთა მოწვევა დასში მონაწილეობის მისაღებად და მეცადინეობა —ახალი სცენის მოყვარენი გამოძებნათ ქართულ მსახიობთა რიცხვის გასადიდებლადა.

ამ მხრივ გამგეობას 1895 წელსვე დაუწყია მეცადინეობა და შეუდგენია რეპერტუარი, რომელიც შეიცავდა 24-ს ჯერედ ქართულის სცენისათვის სრულიად ახალს პიესას (ამათში ბევრი ძალიან კარგი პიესაა, მაგ.: „ურიელ აკოსტა“, „ჭირვეულის ცოლის მორჯულება“ და სხ.), 14 ძველს პიესას გარდა ამ პიესებისა გამგეობას მიუღია ახალი ორიგინალური პიესები ბ-ნის გ. დ. ჟურულისა „ერთი ამბავი“, პავ. ყიფიანისა, ხოშტარიასი და ჯავახიშვილისა. გარდა ზემოდ ჩამოთვლილ პიესებისა ამ ორის სეზონის განმავლობაში გამგეობას შეუძენია 20 სხვა პიესა და ამითი სულ 58. ხოლო სულ ამ ორის სეზონის განმავლობაში გამართულა 60 წარმოდგენა და უთამაშნიათ პირველს სეზონში $18^{95}/_{96}$ წ. 32 პიესა, —17 დრამა, 10 კომედია და 10-იც წვრილმანი ფარსი და ვოდევილი. 32 პიესიდგან ახალი 9 ყოფილა.

მეორე $18^{96}/_{97}$ წ. სეზონში უთამაშიათ 28 პიესა, —19 დრამა, 12 კომედია და ფარსი, 10 ვოდევილი და ერთი ოპერეტი. 28 პიესაში ახალი პიესა 7 ყოფილა და 3-იც ვოდევილი.

მაგრამ როგორც გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, იმ მიზეზთა გამო, რომ ხშირად პიესებისათვის შესაფერი მსახიობნი არა ჰყოლიათ, ან სხ. და სხ. მიზეზთა გამო, ვინც ჰყოლიათ, იმათაც ვერ მიუღიათ მონაწილეობა, რეპერტუარით სავსებით ვერ უსარგებლიათ და უნებლიედ ახალი პიესები უძებნიათ, უფრო მოსახერხებელი წარმოსადგენად, რომ საზოგადოებას მაინც ჰქონოდა შეძლება თეატრში ევლო.

შეძლებისადა გვარად გამგეობა იმისთვისაცა ცდილა, რომ გარდერობი როგორმე გაეუმჯობესებინა და შუძენია ახალი ტანისამოსი და სცენისთვის საჭირო სამკაული, სულ რამდენისამე ასი მანეთისა.

თითონ მსახიობთა შესახებაც შესაფერი და გულითადი მონაწილეობა მიუღია გამგეობას, რომ ყოველსავე წარმოდგენას საზოგაოოება მიეზიდნა თავისი შეგნებულისა და რიგიანის თამაშობით, რისთვისაც რეჟისორი მუდამ თურმე ესწრობოდა გამგეობის წევრთა სხდომებს, პიესების არჩევაში მონაწილეობას იღებდა და ამავე დროს ინიშნებოდნენ მორიგეობით წევრნი გამგეობისა რეპეტიციებზედ მსახიობთათვის თვალ-ყური ედევნებინათ, თუ საჭიროება მოითხოვდა, შენიშვნა მიეცათ და სხ. ერთის სიტყვით, წარმოდგენების გაუმჯობესებით საზოგადოება მიეზიდნათ, ქართული სცენა შეეყვარებინათ. მაგრამ აქაც დაბრკოლება თურმე აღმოუჩნდა გამგეობას: ზოგჯერ შესაფერ მსახიობთა უყოლობისა გამო, ზოგჯერ გულცივობისა და დაუდევრობისა და სხ.

ერთ უმთავრესს მიზეზად იმისა, რომ ამ ბოლო სეზონში საზოგადოება ნაკლებად დაიარებოდა ქართულს წარმოდგენებზედ, გამგეობა თავისს მოხსენებაში იმ გარემოებას ასახელებს, რომ თავად-აზნაურთა კომისიამ დრამატიულს საზოგადოებას თანაგრძნობა არ აღმოუჩინა და თეატრი კერძო მოიჯარადრებს გადასცა რაღაცა 500—600 მ. გამოო. ამის გამო საუკეთესო დღეები წარმოდგენების გასამართავად სულ სხვათ ეთმობოდათ და ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასს-კი 25 ენკენისთვიდამ 23 თებერვლამდე მხოლოდ სამი კვირა დღე მიეცა და სეზონის ბოლოშიაც—16-დამ 25 თებერვლამდე ორი კვირა დღეო (ისიც სხვათა პირობათა გამოო). მეორე მიზეზად ის მოჰყავთ, რომ ქუთაისში მსახიობთა გაგზავნა ბევრად აბრკოლებდა თვით ქალაქში წარმოდგენების რიგიანად გამართვის საქმეს და მცირე რიცხვი გამგეობის წევრთაც თავისს დიდს მოვალეობას რიგიანად ველარ უძღვებოდაო.

ქუთაისში წარმოდგენების გამართვის შესახებ ანგარიშში მოხსენებულია, რომ იქაურს საზოგადოებას დიდი თანაგრძნობა აღმოუჩენია, ტფილისელ გამგეობის თაოსნობით შემდგარა ადგილობრივი კომისია, 71 კაცს წევრობის სურვილი გამოუცხადებია და 355 მან. საწევრო ფული შემოუტანიათ. გარდა ამისა იქაურს წარმოდგენებს ხარჯი სრულიად დაუფარავთ და 537 მან. დარჩენილა ხარჯს გარეშე. სულ გამართულა 14 წარმოდგენა და ამათგან 10 წარმოდგენაზედ აბონემენტით შემოსულა 1,012 მან. და 25 კ. ყოველივე ეს ნათლად ამტკიცებს, რომ ქუთაისის საზოგადოებას შედარებით ქ. ტფილისის საზოგადოებასთან გაცილებით მეტი თანაგრძნობა აღმოუჩენია და, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რისთვის ჰნანობს დრამატიული საზოგადოების გამგეობა, ვითომ იქაურ სცენის საქმეს ადგილობრივ ტფილისის სცენისათვის ვნება მოეტანოს. აქ მხოლოდ ერთი გარემოება სამწუხარო და სახელდობრ ის, რომ დღევანდელი რიცხვი ქართველ მსახიობთა სავსებით ვერ აკმაყოფილებს სცენის მოთხოვნილებას და სწორედ აი ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ გამოიძებნონ საიდამმე სცენის მოყვარულნი. ეს არის პირდაპირი მოვალეობა დრამატიულ საზოგადოებისა და იმის გამგეობისა და, სასურველია, ახალმა გამგეობამ, რომლის წარსული მოღვაწეობა აღინიშნა კიდევაც ამგვარის მისწრაფებით, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს დღეის შემდეგ და ყველა სცენის მოყვარეს მიეცეს საშუალება თავისი ნიჭი გამოიჩინოს.

ერთი ფრიად საყურადღებო საგანი კიდევ ის არის ჩვენის დრამატიულ საზოგადოების სამოქმედო ასპარეზზედ, რომ ხელი შეუწყოს სახალხო წარმოდგენების გამართვასა და ეცადოს უკეთესს ნიადაგზედ დააყენოს იგი მომავალში; ამ მხრივ, როგორც ანგარიში გვიმტკიცებს, უკვე აღმოუჩენია თანაგრძნობა და 150 მ. მიუცია, რომ შეძლებისადა გვარად გა-

---

ტებულად მცირე თანხით იწყებდნენ ხოლმე მოქმედებას და, რასაკვირველია, მცირე თანხას დიდის ხნით დაუბრუნებელი ნისია არ შეესაბამება. ვაჭრობაში მომქმედი თანხა დროზედ დაუბრუნებელის ნისიის გამო, თუ სხვა მოულოდნელის მიზეზით, თავისს დროზედ თუ არ დატრიალდა, უეჭველად ვაჭრობის მსვლელობა შეფერხდება და ამ შეფერხებას მისის ნდობის შერყევა მოსდევს ხოლმე.

ვაჭრობა ერთურთს ნდობაზეა დამყარებული; დიდი შუათანას, შუათანა პატარა ვაჭარს ენდობა და ამ ნდობის სიმტკიცე-სიფრთხილეზეა დამყარებული თვით ვაჭრობის მომავალიც. საკმაოა ამ თუ იმ მიზეზის გამო ეს ვაჭრობის დედაბოძი მცირედ შეირყეს, რომ ამის შემრყევი კუს ნაბიჯს დაადგეს და სავაჭრო მოედანს გამოეთხოვოს. საკმაოა გავიხსენოთ, რომ დღეს ძნელად-ღა იპოვით სავაჭროს, რომლის—თვალსაჩინო ადგილზედ სხვილის ასოებით აღბეჭდილი ბაირაღი არ იყოს გამოკიდული: „დღეს ნაღდზედა ხვალ ნისიად“-ო... ამ ხერხს-ღა მიჰმართეს ვაჭრებმა, როცა არა ერთს და ორს თვით წარჩინებულს ვაჭარს გაჩაღებულ სავაჭროს მაგიერ ნისიის აჭრელებული დავთარი და ბარათები-ღა შერჩა ხელში. ეხლანდელს დროში მეტად შეუსაბამოა კრედიტის შეზღუდვა, მაგრამ რას იზამ, როცა ხალხი ჯერ კიდევ იმდენად არ არის მომზადებული, რომ კრედიტს ჯეროვანის პატივით ეპყრობოდეს.

თიანეთის სავაჭრო ამხანაგობის წევრთა მიერ აღთქმული ერთგულება, ერთურთის მხრის მიცემა და სიმტკიცე უცილობელი თავდები იყო საქმის ჯეროვანად წარმოება-გაძლიერებისა. ესევე იყო მიზეზი, რომ მე და ჩემთან ერთად ორმა სხვამ ვიტვირთეთ საქმის მოვლა-მართვა. თუმცა ჩვენ სამში ვაჭრობაში გამოცდილი მხოლოდ ერთი იყო, მაგრამ ამხანაგობის წევრთა აღთქმით ზურგ-გამაგრებულნი უშიშრად შევუდექით საქმეს. გამოტეხით ვამბობ, რომ პირად მე და ჩემთან ერთად ამორჩეულთაც ამხანაგობის წევრთა უდრეკოდ გულ-გრილობის ზურგის ჩვენების მოლოდინი და ამის გამო საქმის განუვითარებლობა წარმოდგენიაც-კი რომ წარმოგვედგინა, არამცთუ საქმის მოვლა-პატრონობას არ ვიტვირთებდით, თვით საქმის დაწყების დროსაც შეიძლება ჯეროვანი მონაწილეობა არ მიგვეღო; დღევანდელს ყოფაში საქმის არსებობა მეტად უმნიშვნელოა თიანეთის მაზრისათვის და მას არც შეუძლიან საქმის დამწყებთა სურვილი გაამართლოს, ე. ი. იგი ვერ შეიქმნება იმ ფაქტორად, რომელიც ხალხში შეერთებულის ძალით შრომას იწვევს და თვითმოქმედებას აღძრინებს.

მაგრამ... მომავალი თვით საქმეს მივანდოთ. ჩვენ-კი მის ყოფილს საქმეს დავუბრუნდეთ. დღესაც გული სიამოვნებით მევსება, ამხანაგობის სავაჭროს არსებობის პირველი ორი თვე რომ მაგონდება. ამხანაგობის წევრთა და გარეშეთა აღტაცება, სიტყვით და საქმით სავაჭროსადმი ერთგულობა მართლა რომ ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ჩვენს ისედაც უფერულს ცხოვრებაში. პირველს ორს თვეს მცირე თანხით მოწყობილმა საქმემ ას-ოც-თუმნამდე ივაჭრა, ასე რომ გამგეობა ძლივს ასწრობდა სავაჭროს შევსებას, კიდევ ბედი, რომ დრომ, ამინდმა და გზამ ხელი შეგვიწყო და სავაჭრომ მყიდველთა დაკმაყოფილება დაუბრკოლებლივ შესძლო. საქმის ასეთი ცხოველმყოფლობა იყო მიზეზი, რომ გამგეობა ზამთრის მოლოდინში საჭირო სავაჭროს მოსატანად საღსრის მოპოვებას შეუდგა. ზამთრობით ტფილის-თიანეთის გზა თუ სულ არ იკვრება, მეტად ძნელი გასავლელია ხოლმე და სწორედ ამიტომ საჭირო იყო საზამთროდ საჭირო სავაჭროს წინადვე დამზადება. სავაჭროს მცირე თანხა ამას ვერ შესძლებდა და აუცილებლად საჭირო იყო სხვა სახსრის მოპოვება. ამ შესთხვევაში გამგეობამ თავისნებით მოქმედება არ იკისრა და ამხანაგობის წევრნი მოიწვია მოსალაპარაკებლად.

აი სად წამოგვაწყდა ჩვეულებრივი დაუდევრობა!... ამ მეტად საჭირო საგნის გარდასაწყვეტად ამხანაგობის წევრნი თავისს დროზედ არ შეიკრიბნენ და 1895 წ. შემოდგომის ნიაღვრებისაგან ტფილისში მოვლინებულმა საზოგადოდ სავაჭროს სიძვირემ მოგვასწრო. ტფილისში სავაჭროს ძვირად შეძენას თიანეთ ტფილისის გზების გაფუჭების გამო სავაჭროს გადმოტანის ქირის სიძვირეც ზედ დაერთო. წინა თვეში გამგეობა სავაჭროს გადმოტანის ქირას ფუთზედ 10—15 კაპ. იხდიდა და მაშინ-კი 30—35 კაპ გადიხადა. ამ ვაჭრობის შემაფერხებელს მიზეზებს გამგეობა არ შეუშინდა, ვალიც-კი (800 მან.) აიღო, იმ იმედით, რასაკვირველია, რომ ამხანაგობის წევრნი გარემოების და მიხედვით საქმის ერთგულებას თუ არ უმატებდნენ, არას დააკლებდნენ. ამის იმედით ხელმძღვანელობდა გამგეობა და ძვირად შეძენილს-მოტანილს სავაჭროს გასასყიდი ფასები ისევ წინანდელი დასტოვა და მხოლოდ სამს საგანს (შაქარს, ნავთს და ქვა-მარილს) მოუმატა ფასი, რადგან ამ საგნების ყოფილს ფასებში გაყიდვა ყოვლად შეუძლებელი და ამხანაგობისათვის საზარალო იყო.

სავაჭრო გადასყიდ ფასების მოუმატებლობით ამხანაგობამ სხვა ვაჭრობის გათამამებულს გაუმაძღრობას საგრძნობლად შეუშალა ხელი და, რასაკვირველია, რომ მათ ტფილისში გაჩენილ სიძვირის ხელზე დახვევით ვერ ისარგებლეს ისე, როგორც ისარგებლებდნენ, ამხანაგობის სავაჭრო რომ არა არსებულიყო. ამით ვაჭრებს დიალ რომ საგრძნობელი დანაკლისი დააკლდათ, რადგან მათ საზამთროდ სავაჭრო მოტანილი ჰქონდათ იმ დროს, როცა ტფილისში სიძვირე არ იყო და არც სავაჭროს გადმოსატანი ქირა იყო დიდი.

აქ თუ ვაჭრობს ამხანაგების სავაჭრო გადაეღობა, სამაგიეროთ მათ ამგანაგობის წინაამდეგ სხვა ხერხს მიმართეს.

სავაჭროს გასასყიდი ფასები, ამხა-

მართულიყო სახალხო წარმოდგენები, რომელთა მოთავეობაც კერძო სცენის მოყვარულთა ჰქონდათ ნაკისრები. გარდა ამისა, 250 მან. დაუხარჯავთ სცენისა და კონცერტებისათვის საჭირო ხოროს მოსამზადებლად.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, გარდა ამისა, რომ ტფილისსა და ქუთაისში ჰმართავდა წარმოდგენებს, სხვა-და-სხვა ქალაქებშიაც დახმარებია სცენის მოყვარეთ ქართულ წარმოდგენების გამართვის საქმეში, უთხოვებია სასცენო ტანისამოსი ბაქოსა, თელავსა, განჯასა და ქუთაისში. ზოგიერთგან მსახიობიც გაუგზავნია. ერთის სიტყვით, გამგეობას რაც ძალი და ღონე გასწვდებოდა, სცდილა ასე თუ ისე გაეუმჯობესებინა ქართულის სცენის საქმე და თუ სასურველად ვერ მოაწყო და გამოაკეთა დღევანდელმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, ამის მიზეზად უკვე დასახელებულთა გარდა, ის უნდა ჩაითვალოს, რომ ქართველი საზოგადოებაც ცოტა არ იყოს გულგრილობას იჩენდა, ხელი შეუშალა ახალმა თეატრმა, ოპერამ და სხ.

დასრულდა-რა ანგარიშის კითხვა, დამსწრე წევრებმა დაიწყეს სჯა იმის შესახებ, რომ როგორმე უკეთესად იქმნას შემდეგისთვის მოწყობილი სცენის საქმე, გამგეობას მიეცეს საშვალება უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს პიესების ამორჩევას, მის ენის შესწორებას, რაიცა ამ წარსულს სეზონში უკვე შეჰნიშნა ჩვენმა დრო ვამოშვებითი გამოცემებმა და საზოგადოებამაც. ამ მხრივ საზოგადოების წევრმა ბ-ნმა ახნაზაროვმა რჩევა წარუდგინა კრებას ამოერჩია კომისია, რომელსაც, წესდების § 25 მუხლისა თანახმად, დაჰვალებოდა სარეპერტუარო პიესების დაფასება, მათის ენის შესწორება და როდესაც გამგეობა საჭიროდ სცნობდა, მიეწვიათ იგი სხვა საქმეშიაც დასახმარებლად, რადგანაც გამგეობას უიმისოდაც მრავალი საქმე აქვს და ამის გამო ხშირად ყველა საქმეს ვერა სწვდება წევრთა სიმცირის გამო. მცირეოდენის კამათის შემდეგ, ეს წინადადება მიღებულ იქმნა.

აღიძრა ლაპარაკი აგრეთვე იმის შესახებ, თუ რად ეპყრობოდა საზოგადოება გულგრილად ჩვენის თეატრის საქმეს და რად არ დაიარებოდა. სხვა-და-სხვა მიზეზთა შორის, რომელიც აქ იყო წარდგენილი ბ-ნმა მ. ნასიძემ ის გარემოება დაასახელა, რომ სეზონში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი დრამებს, როდესაც, გარდა ერთის არტისტისა, რომელიც ამ ჟამად ავად არის და თამაშობა აღკრძალული აქვს, რიგიანი მოთამაშეები არა გვყავსო და სამაგიეროდ კომედიები თითქმის სულ მთლად განდევნილი იყო რეპერტუარიდამ, თუმცა კომედიების მოთამაშე ბევრი და კარგის ნიჭის პატრონიცა გვყავსო.

ამას გარდა გამგეობის წევრმა ბ-ნმა ლასხიშვილმა წარმოადგინა კრების განსახილველ დ თავისი ფრიად საყურადღებო აზრი იმის შესახებ თუ რა მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გამგეობა სავსებით და სასურველად ვერ უძღვება დღემდის დრამატიულ საზოგადოების მიერ მინდობილს ქართულ სცენის საქმეს. დასასრულ თავისის აზრსა ბ-ნი ლასხიშვილი დაასკვნის: 1) ქართული სათეატრო საქმეს საზოგადოდ წინმსვლელობა არ ეტყობა; 2) ამის მიზეზები ბევრია, უმთავრესად-კი ქართველ საზოგადოების გულ-გრილობა, არტისტების ნაკლები გულ-მოდგინეობა და გამგეობათა შეცდომები; 3) ქართველ საზოგადოების თანაგრძნობის გამოწვევისათვის საჭიროა, „დრამ. საზ.“ ერის წინაშე თავისს მოვალეობის აღსრულებას უფრო სავსებით და ფართოდ შეუდგეს; 4) ამისათვის საჭიროა ანტრეპრენიორობას თავი დაანებოს და „დრამ. საზ.“ ამ წესდების აღსრულება დაიწყოს იმ სრულის პროგრამით, რომელიც ნაჩვენებია მისს 1 და 2 მუხლებში; 5) ტფილისში და ქუთაისში წარმოდგენების საქმეს თვისი არტისტები უკეთესად გაუძღვებიან, რადგანაც ქონებრივად დაინტერესებულნი იქმნებიან; 6) გამგეობა უკეთ აღასრულებს თავისს რთულსა და ბევრს საქმეს, როდესაც განთავისუფლებული იქნება ანტრეპრენიორობისაგან“.

გამგეობას განუხილავს ეს ცალკე აზრი ბ-ნის ლასხიშვილისა 19 აპრილს და უარ-უყვია იგი ყველა დამსწრეთა წევრთა ხმის უმეტესობით, ერთის, ბ-ნ ისარლიშვილის წინაალმდეგ. საზოგადო კრებამ გადასწყვიტა: კომისია ამოირჩიოს და იმას მიანდოს ამ აზრის საფუძვლიანად განხილვა და ვრცელი მოხსენების წარდგენა საზოგადო კრების წინაშე.

ამის შემდეგ გამგეობისა და კომისსიების წევრთა არჩევანებს შეუდგნენ. ერთ-ხმად ეთხოვათ წევრებს, რომ კვლავ დარჩენილიყვნენ, მაგრამ ორმა იმათგანმა: ბ-ნმა ნ. ისარლიშვილმა და ივ. მაჭავარიანმა (წერილობით, თითონ კრებას არ დასწრებია) უარი განაცხადეს დროის უქონლობისა გამო. დანარჩენნი-კი კვლავ გამგეობის წევრებად დარჩნენ. ბ-ნის ისარლიშვილისა და მაჭავარიანის მაგიერად ამორჩეულ იქმნენ თავ. ს. რ. ვახვახიშვილი და თავ. კ. აბაშიძე, ხოლო კანდიდატებად: ვ. ჭიჭინაძე, ა. დეკანოზიშვილი და ა. ახნაზაროვი.

კომისიის წევრებად, რომელთაც პიესების გასინჯვა-დაფასება და ენის შესწორება დაევალათ, ამორჩეულ იქმნენ: გ. ყიფშიძე, ნ. ხიზანაშვილი, ა. ყიფშიძე, ა. ახნაზაროვი და თავ. ი. ნაკაშიძე, ხოლო ბ-ნის ლასხიშვილის მიერ წარდგენილ წინადადების განსახილველადა და თავისის მოსაზრების წარსადგენად ამის შესახებ მომავალს საზოგადო კრებაზედ ამოირჩეს: პავ. ყიფიანი, თავ. ი. ნაკაშიძე, ა. ყიფშიძე და ნ. ხიზანაშვილი.

კრება ღამის $12^{1}/_{2}$ საათზედ დასრულდა.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ოფიშკვითი (ქუთაისის მაზრა), 29 მაისი. ეს ერთი თვე გადის რაც ჩვენს სოფლის მიწის ნიადაგი არ დასველებულა. აღმოსავლეთის ქარი-კი თითქმის ყოველ-დღე ჰქრის და ჩვენი სოფლის სიმდიდრე—სიმინდი ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია. გვალვისაგან ჩამჭკნარი და უფერული ბელტებში ძლივს გამოჩანს. საწყალი გლეხი გულს ხელ-დაკრეფილი დაჰყურებს ზეციდგან თავისს დაგვალულს ყანას და ამბობს: „რა ვმარგლო, მიწას რომ არ ახნია? ღმერთო, ნუ მოგვიძულებ; გვაღირსე წვიმაო.“ ამ დროს ამ გლეხს თავს წაადგება თავისივე მეზობელი და ეუბნება: „ოფიშკვეთში ცოდვაა დაბუგული, თორემ რად არ გვაღირსა ღმერთმა წვიმა, როდესაც ჩვენს მახლობელს სოფლებში—საყულიაში, მესხეთში, გუბის წყალზე და ქ. ქუთაისში მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა ყოფილა. ჩვენი ძველები კოხინჯრობას უქმობდნენ და საყდრის გალავანში ყოველ წელიწადს „სამხთოს იხდიდნენ, ახლა აღარც კოხინჯრობას უქმობენ და არც „სამხთოს“ იხდიან. („სამხთო“ არის საღმრთო ლოცვა).

იქნება ბევრმა არ იცის რასა ჰქვიან კოხინჯრობა და ან რა არის სამხთო. სიტყვა კოხინჯრობა წარმოსდგება სიტყვებისაგან—„კოხი“ და „ჯვარი“. კოხს იმერულად სეტყვას ეძახიან; რომ პირ-და-პირ ვთარგმნოთ, ასე გამოდის: სეტყვის დღეობა. კოხინჯრობას უქმობდნენ და ზოგნი ახლაც უქმობენ 7 მაისს. იმიტომ უქმობენ, რომ ვითომც ამათი პატივსა სცემენ სეტყვას (კერპის თაყვანის ცემაა, მაშ რა არის?), ეგების ყანა და ვენახი არ გაგვიფუჭოსო. „სამხთო“ ანუ საღმრთო ის არის, რომ მთელი ერთის ეკკლესიის მრევლი გვალვის დროს, ზაფხულში, შეიკრიბება საყდრის გალავანში და თავისის ოჯახიდგან მოტანილს პურსა და ღვინოს შეექცევა. მაგრამ წელს ღვინის სიძვირისა გამო აქაურები ამ ჩვეულებას ვეღარ ასრულებენ.

უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწიაო, ნათქვამია, და სწორედ ასე მოსდით ჩვენს სოფლელებს; მიწის გამომჭყნული მოხელეებიც ახლა, ამ ფიცხელ მუშაობის დროს, გვაწუხებენ და სამხედრო სამსახურის შესრულებისათვისაც ამ ცხელ დღეებში იბარებენ ქ. ქუთაისში ჩვენის მაზრის სოფლებიდგან. დღეს და გუშინ ორასი კაცი მეტი წავიდა ქუთაისში ჩვენის მახლობელ სოფლებიდგან. სამხედრო სამსახურის შეუსრულებლად აქამდის გიორგობისთვეში იწვევდნენ ხალხს და ახლა მაისში რათ შემოიღეს ნეტა?..

ს—ლი

ხევი ს. სტეფანწმიდა, 2 ივნისი. 25-ს წასულ მაისს მიხეილ გიგაურმა ჯოხი დაარტყა სახეში ს. ალიბეგაშვილს და ცხვირის ძვალი დაუმტვრია. დაკვრა ისე მოხდა, რომ ალიბეგაშვილს არც კი შეუნიშნავს ჯოხის მოქნევა, რადგანაც სამისო ლაპარაკი არაფერი ყოფილა მათ შორის. როდესაც ალიბეგაშვილი სხვა მხარეს იცქირებოდა თურმე, გიგაურს სწორედ ამ დროს დაერტყა.

სწორედ ამავე დღეს ბრძანდებოდა დუშეთის მაზრის ექიმი ბ-ნი იულსკი სოფელ სტეფანწმინდას და გავაშურეთ მისკენ. როდესაც ბ-ნს ექიმს ვთხოვეთ, რომ დაჭრილი ალიბეგაშვილი ენახა, რამე შემწეობა და საშუალება ეხმარა, რომ ჭრილობიდამ სისხლის მდინარება მაინც შეეწყვეტინა, მან გვიპასუხა: მე ნება არა მაქვს ნახვისა, ვიდრე ქაღალდს არ მივიღებ ადგილობრივის ბოქაულისა ან მაზრის უფროსისაგანო. ჩემი საქმე ეხლა ის არის და იმისთვის მოვედი, რომ სოფლებში უსუფთაობა არ იყოს და ქუჩები დაასუფთაონო. საკვირველია, ბ-ნ იულსკის პასუხი, თუ სოფელში ფეხით ასვლა ეზარებოდა, ან არ შეეძლო, ეტლით მაინც აზრძანდებოდა სნეულის სანახავად, როგორც წინა დღეს ჩვენ მამასახლისთან. თუ ესეც არ შეეძლო, მაშინ დაჭრილს თავისთან მაინც მიგვეყვანინებდა, თუ არა და „ნება არა მაქვსო“. ექიმს სნეულის ნახვის ნება არა აქვს. დავიჯეროთ? მაშ

ნაგობის სავაჭროს ფასებთან შედარებით, დასწიეს და მერე იცით ვისთვის მხოლოდ? ამხანაგობის წევრთათვის. ეს სიიაფე საერთო რომ ყოფილიყო, კიდევ რა გვეთქმოდა. ამ მეტად უგერგილო და ფშატე საკენკმა ჯეროვნად იმოქმედა და ამხანაგობის ზოგიერთი წევრი მიიზიდა. ამხანაგობის დამაარსებელთ ეს გარემოება წინდაწინვე ჰქონდათ აღნიშნული და ამხანაგობის წევრთ კერძოთ თუ კრებებზედ აფრთხილებდნენ, მაგრამ სიტყვით დაპირებას, საქმით აღსრულება ვერ დაერთო.

გამგეობა ყოველი გვარადა სცდილობდა ამხანაგობის წევრთა შემოკრებას, რადგან ისედაც მცირე ამხანაგობას რაღა დანაწილება და გაწევა უნდოდა, მაგრამ... ეს საქმის ერთგულებისაგან გამოწვეული ცდა ამხანაგობის ზოგიერთ წევრთათვის გაუგებარი გახდა და ამ გაუგებრობამ უფრო აამხედრა ისინი გამგეობის და თვით საქმის წინააღმდეგაც-კი. ამხმნაგობის ხელ-შეკრულობის მე 13 §-ის თანახმად, სავაჭროდამ თვის წილის ფულის ნახევრის საფასური საქონელი გაიტანეს და ზურგი გვიჩვენეს. ამ რიგად ის, რასაც საქმე ასე უფრთხოდა, დღითი დღე ზრდას მიეცა (პირველში სულ მცირე ნისია თან და თან ისე გაიზარდა, რომ ოცდა-ათას თუმანსაც-კი გადააბიჯა) და სულთამხუთავისავით აწვებოდა საქმეს. ნისიის ზრდას ვადაზედ დაუბრუნებლობაც დაჰყვა და ისეც მცირედი თანხა საგრძნობლად შემცირდა. კიდევ კარგი, რომ ნისიის დაუბრუნებლობა ერთობილს სენს არ წარმოადგენდა და საქმეს ერთგულნი საკმაოდ შერჩა, თორემ ასე გაზრდილი, დაუბრუნებელი ნისია სავაჭროს მალე მოუღებდა ბოლოს.

ამისდა მიუხედავად გამგეობამ გაჭირვება (1895 წ. დასასრულს და 1896 წ. დასაწყისს) უვნებლად გამოიარა და ამ დროს აღებული ვალი ვადა-გადაუცილებლივ გადაიხადა.

სავაჭროს ნისიის ზრდა და თვით თანხის მძიმედ მატება (ერთი წლის განმავლობაში ამხანაგობას სულ რვა წევრი მოემატა და თანხა 680მ. გახდა) იყო, რის და იქნება მიზეზი, რომ ამხანაგობის სავაჭროსათვის საქონლის შეძენა უვალოდ შეუძლებელი გახდა. გამგეობამ პირველის ვალის გასტუმრების უმალ ახალი ვადიანი ვალი აიღო. აი, ეს სიკეთე მიაყენა ამხანაგობას ზოგიერ ამხანაგების უკან გადგომამ და უფროს მეტი თვით საქმის გაფართოვებამ ახალი ამხანაგების შეძენას საგრძნობლად შეუშალა ხელი. გამგეობა თავის ცდას, როგორც კი შეეძლო, ამ მხრივ არ აკლებდა, მაგრამ ერთხელ ამხანაგობის ხელშეკრულობის დამრღვევნი ვეღარ მოიკარა.

არა, უფრო მეტი, ეს ცდა გამგეობისა სულ სხვა გვარად გაიკრიჭა და შიგ პირადი ანგარიშები და შენ-„ჩემობა“ წამოსკუპდა; მაინც გამგეობა გულ-ახდით პირდაპირ და მტკიცედ მისდევდა თავის მოვალეობას.

რა გვარად შესძლო გამგეობამ ამ საქმის მოვლა, ამას ქვევით დავინახავთ, მანამდე კი საჭიროა ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ თუ გამგეობასთან ერთად ამორჩეული რევიზიის წევრნი-ღა როგორ ასრულებდნენ მათდა მინდობილს საქმეს. შვიდმეტის თვით განმავლობაში სავაჭროს რევიზია სულ ექვსჯერ მოხდა.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამხმნაგობის თანხის სიმცირის გამო სავაჭროს ანგარიშის დავთრები პირველშივე არ დაიწყო იმ წეს-რიგზედ, რომელიც საზოგადოდ მიღებულია და სასარგებლოდ ცნობილია ამ გვარ ამხანაგობაში. ჯეროვნად ანგარიშის წარმოებას კარგი მცოდნე კაცი და შესაფერი ხარჯიც უნდა რასაკვირველია. თიანეთის სავაჭრო ამხანაგობის თანხის სიმცირეს სად შეეძლო დიდის ხარჯის გაწევა და ამიტომ პირველს ხანებში ანგარიშის და თვით საქმის წარმოება შეძლებისადაგვარად იყო მოწყობილი. ამას თუ დავუმატებთ თვით რევიზიის წევრთა ამგვარს საქმეში გამოუცდელობას, აშკარაა, რომ სავაჭროს რევიზიის ანგარიშები შეცდომას ვერ ასცდა, უფრო კი პირველს ხანებში, რაც შემდეგ და შემდეგ თვით სავაჭროს რევიზიამვე აღმოაჩინა.

1895 წ. ნოემბრის გასულს მომხდარ რევიზიამ ამხანაგობას სავაჭროს ნაღდი მოგება 120 მანეთი უჩვენა. თუმცა რევიზიის მოხსენებაში იყო ნათქვამი, რომ იგი ანგარიში უცილობელს ჭეშმარიტებას არ წარმოადგენსო, მაინც ეს შეცდომით ნაჩვენები მოგება იყო მიზეზი, რომ სავაჭროს ხარჯი მოემატა. (ერთი ნოქრის მაგიერ 1895 წ. 21-ს დეკემბრიდგან, თანხმად ამხანაგობის წევრთა კრების დადგენილებისა, მეორე ნოქარიც დაიქირავა გამგეობამ) შეცდომას არ ასცდა აგრეთვე თვით გამგეობის წლიური ანგარიში. წლიური ანგარიში უნდა მომხდარიყო 1896 წ. 1 აგვისტოს. ამ დროისათვის გამგეობამ ანგარიშის წიგნები და დავთრები შეამოწმა და ნოქრებს ახალი დავთრები მისცა. ანგარიშ-დავთრების შემოწმების გარდა, ანგარიშის შესადგენად საჭირო იყო თვით სავაჭროში ამ დროს ყოფილ საქონლის რაოდენობის ცნობაში მოყვანა.

ამისათვის გამგეობამ მოიწვია ბ-ნნი რევიზიის წევრნი, რომელნიც მხოლოდ ერთის თვის შემდეგ ძლივ მოიკარა გამგეობამ, ასე რომ სავაჭროს გასაყიდ საქონლის რაოდენობა 1896 წ. 1 აგვისტოს მაგიერ 1 სექტემბერს იქმნა ცნობაში მოყვანილი.

ამისდა გვარად ანგარიშის სხვა მუხლებიც უნდა 1 სექტემბრისათვის შეფარდებულიყო, მაგრამ წლიური ამხანაგობის წევრთა კრების დანიშნულმა დრომ მოგვასწრო და აჩქარებით შედგენილს ანგარიშში 1 აგვისტოსათვის დავთარ-ანგარიშებიდგან ამოღებული ჯამები კი მოჰყვა. ამ შეუფარდებლობამ წლიურს ანგარიშში ის შეცდომა გამოიწვია, რომ სავაჭროს საერთო მოგებას 377 მან. 52 კაპ. მაგიერ 442 მან. 95 კაპ. იყო ნაჩვენები. შეცდომა გამოირკვა 1896 წ. ნოემბრის 26 მომხდარ სავაჭროს რევიზიის დროს. ეს გარემოება ამხანაგობის წევრთა კრებას მოხსენდა, გამგეობისა და რევიზიის წევრთ კრებას ამ შეცდომის მიზეზებიც აუწყეს, მაგრამ...

(დასასრული იქნება)

რისდა ნება აქვს?! იქნება მარტო იმისა, რომ სოფლებში ათვალიერებდეს, უსუფთაობა არსად იყოსო. ორს დღე-ღამეში რამდენი ხეური სოფელი დაათვალიერა ბ-ნმა ექიმმა სტეფანწმინდის სადგური დამ ფესვის მოუცვლელად? არც ერთი.

მოხევენი დიდად შეწუხებულნი და გაჯავრებულნი ვართ უქიმობის გამო და ხშირად ვნატრობთ, ნეტავი ჩვენი სამაზრო ქალაქი დუშეთი ახლოს იყოს, რომ ექიმის მოსვლა მარჯვედ შეიძლებოდეს.

ს. შადული

◆ ◆

უცხოეთი

—

ოსმალეთი. ამ ბოლოს დროს სამზღვარ-გარეთელი გაზეთების კორესპონდენტები ოსმალეთიდგან იმის მეტს არაფერს იუწყებიან, რომ ოსმალეთის მთავრობა ახალსა და ახალის ჯარის მზადებაშიაო. გაზ. „Standard“-ის სიტყვით, ოსმალეთი კარგა ხანია ჯარის შეკრება და მოწყობას შეუდგა, ხოლო ამ ბოლოს დროს მთავრობისა და უბრალო ხალხის ყურადღება მარტო ამ საგანზეა მიქცეულიო. ყველა ვილაეტში ცალკე კომიტეტები შემდგარა თურმე, რომელთაც მინდობილი აქვთ ამ საქმის მეთაურობა. ამ ჟამად ევროპის ოსმალეთში 1,000 ბატალიონი ქვეითა ჯარი იქნება და მარტო ბოლგარეთის სამზღვარზედ 40 ბატალიონი გაიგზავნაო.

— იმავე გაზეთს ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ ედხემ-ფაშამ ვრცელი მოხსენება გაუგზავნა სულთანსაო. ამ მოხსენებაში ოსმალეთის მთავარ-სარდალი სწერს თურმე, რომ ჯარი ძალიან უკმაყოფილოა უმოქმედობითაო. ისინი თხოულობენ, ან საომრად გაგვიწვიეთ, ან სამშობლოშივე დაგვაბრუნეო. ჯარი იმდენად აღელვებულია, რომ აფიცრებს სრულებით ყურს აღარ უგდებენ. დასასრულ ედხემ-ფაშა სწერს, რომ თუ ამ გამოურკვეველის მდგომარეობის გამო ჯარის-კაცთა არეულობა მოხდა, მე დამნაშავე არ ვიქნებიო.

—

გაზ. „Berl. tageb.“ სწერენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ ოსმალები ამ ბოლო დროს მოწადინებულნი არიან ცვლილებანი შემოიღონ. საბერძნეთზედ გამარჯვებამ აშკარად დაარწმუნა თურმე ოსმალები, რომ ევროპის სახელმწიფოთა წეს-წყობილება გაცილებით უმჯობესია, ვიდრე ოსმალეთისა. ოსმალებმა გაიმარჯვეს ევროპის აფიცრების შემწეობით, რადგანაც ამ უკანასკნელთ ისე კარგად მოაწყეს ოსმალეთის ჯარი, როგორც არასოდეს არ ყოფილა. ამ გარემოებამ ოსმალებს თვალი აუხილა და ევროპიელთა ნდობა მოაპოებინაო. ისინი მტრულად აღარ უცქერიან ევროპიელთ და მზად არიან ყოველი იმათი რჩევა-დარიგება მიიღონო და სამოქალაქო ადმინისტრაციაშიც ისე, როგორც ჯარის გაწყობის საქმეში, მრავალი ცვლილება მოახდინონო. თუ ევროპიელთ, განაგრძობს კორესპონდენტი, გზა გაეხსნათ ოსმალეთის საადმინისტრაციო დაწესებულებებში, მაშინ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ოსმალეთი გაუმჯობესების გზას ჩქარა დაადგება და მალე ამ სახელმწიფოს წეს-წყობილება სულ შეიცვლებაო.

—

საბერძნეთი. თუ რამდენად გაჭირვებულ მდგომარეობაშია საბერძნეთი, სჩანს კაპიტან ლემეზიერის წერილიდგან: სიტყვები არა მყოფნის, სწერს კაპიტანი, აღვწერო ის გაჭირვება, რა გაჭირვებაშიაც ამ ჟამად თესალიის მცხოვრებნი არიან. 100,000 გამოქცეული კაცი და ქალი უსახლ-კაროდ, ულუკმა-პუროდ დაეხეტება აქა იქ. ლარისას და არტის ოსმალების მიერ აღებამ მკვიდრ-მცხოვრებელთ თავსზარი დასცა და ყველას სახლ-კარი მიატოვებინა. ჩვენ, განაგრძობს კაპიტანი, თორმეტ ადგილას ვიყავით და 50.000 დედაკაცს და ბალღს შეძლებისამებრ დახმარება გავუწიეთო. ტრიკერში 2,500 კაცი შიმშილით იხოცებოდა, იმათი საჭმელი ბალახის მეტი არაფერი იყოო. ევბეიში 20,000 გამოქცეული შეგვხვდა, რომელთაც ქვეყანაზედ არაფერი გააჩნდათ. ერთის სიტყვით ხალხი საშინელს გაჭირვებასა და სასოწარკვეთილებაშია და თუ საიდგანმე შემწეობა არ აღმოუჩნდა, შიმშილისაგან ამოწყდება.

◆ ◆

ნარევი

—

ერთი კაცი საშინელი გულ-მავიწყი იყო. ერთხელ იკითხა: მეფის ცხენები სანადირო ადგილას როგორ წავიდნენ, ფეხით თუ ცხენითაო?

ერთი მშვენიერის გემოვნებით და ლამაზი სახლი დაინახა და სთქვა: ნუ თუ ეს სახლი აქ არის აშენებულიო?

◆ ◆

ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

კარგად მოგეხსენებათ, რომ ფოტოგრაფიით გადაღებულს სურათს ერთი დიდი ნაკლი აქვს, სურათზედ არ გადადის სხვა და სხვა ფერი. ეს ექვსი წელიწადი იქნება, რაც პროფესორმა ლომპანმა გამოაცხადა, ისეთი ახალი საშვალება გამოვიგონე, რომლის ძალითაც ფერადის სურათის გადაღება შესაძლებელი შეიქმნებაო. მართალია, ლომპანის საშვალება ისე კარგი არ აღმოჩნდა, მაგრამ მისის წყალობით მეცნიერებამ მიაგნო გზას და ამ ჟამად ბ-მა დანსაკმა და შემდეგ ბ-მა ბასმანმა კიდევაც მაახერხეს ფერადის სურათების გადაღება ფოტოგრაფიით. ეს საშვალება სცადეს ამას წინად კინგ-კოლეჯში; დაესწრნენ გამოჩენილნი მეცნიერნი: პროფესორი ტომსონი (ლორდ კელვონი), აბნეი, ჰენრი ვუდი და ჰერბერტ ჯეკსონი. „მე ურწმუნო მივედი იქაო,—სწერს ჰენრი ვუდი,—და რწმენით სავსე დავბრუნდი“.

როგორ იღებენ ფერად სურათს ფოტოგრაფიით, ამას ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახავენ გამომგონელნი, მაგრამ ადრე თუ მალე ეს საიდუმლოება, რა თქმა უნდა, გამოქვეყნებული იქმნება და ყველა ფოტოგრაფს ადვილად შეეძლება ფერადის სურათის გადაღება. ზემოხსენებულ მეცნიერთა თვალწინ მშვენივრად იქმნა გადაღებული ფერადი სურათი იაპონელ ქალისა, ფერადის ტანთსაცმელით, სურათი თაიგულისა და კიდევ ერთის კაცის სურათი. შემდეგ ბ-მა ლომბერმა მშვენივრად გადიღო სურათი ბაღჩისა და სურათზედ საუცხოვოდ გამოვიდა სხვა და სხვა ფერი ყვავილები, მცენარეები, და მოწმენდილი ლურჯი ცა. („პ. ი ლ.“)

* *

გამოჩენილმა ინგლისელმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა ფრენსის გამილტონმა შემდეგი საოცარი ამბავი გამოაცხადა ერთს ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში. ამ ჟამადაო, სწერს ბ-ნი გამილტონი, ყველა ობსერვატორიებით დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალს იმ ნიშნებს, რომლებიც დრო-გამოშვებით მოჩანს მარსის პლანეტიდგან.

ევროპის ერთმა ობსერვატორიამ მანქანა გამართა, რომლის შემწეობითაც ეს ნიშნები იწერება. მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ მარსიდგან ისეთი ნიშნები მოჩანს ხოლმე, რომ თუ გონიერის არსების ხელი არა, სხვა ვერაფრით არ აიხსნება ამ ნიშნების გამოჩენა. დამტკიცდა, რომ ასეთი ნიშანი სულ სამია. პირველი ნიშანი ანუ ასო მოჩანს $1^1/_4$ წამს, მეორე—$2^1/_2$ წამს, მესამე 5 წამს ამ ნიშნების ანუ ასოების შეერთებისაგან უეჭველია შესდგება სიტყვები და შემდეგ წინადადებაც. პატივცემული მეცნიერი ფრანსის გამილტონი დარწმუნებული არის, რომ ამ ნიშნებით მარსის პლანეტზედ მყოფი ხალხი სცდილობს როგორმე ჩვენ დაგველაპარაკოსო. („Ж. Н. О“).

* *

აბრეშუმისა, შალისა და სხვა ქსოვილებისა, ხალიჩებისა და ტანთსაცმელის შენახვა მეტად ძნელია ჩრჩილისაგან. ინგლისში ვიღასაც უცდია ამგვარ ქსოვილების შენახვა ცივსა და ბნელს ადგილას და ჩრჩილი სრულებით არ მიჰკარებია. ეხლა უკვე დამტკიცებულია თურმე, რომ ჩრჩილი 4—5 გრადუსის ნაკლებ სითბოში ვერა სძლებს და იხოცება, ამიტომ 4—5 გრადუსის სითბოიან ალაგას რომ შეინახოთ ქსოვილი ან ტანთსაცმელი, ჩრჩილი ვერ გააფუჭებს.

(„П. В“).

◆ ◆

მცირე შენიშვნა

(წერილი რედაქციის მიმართ)

შარშან აგვისტოში დაბა ხიდისთავში (გურია) ადგილობრივის სცენის მოყვარულთა მიერ გაიმართა წარმოდგენა ხიდისთავის ღარიბ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო „ციმბირელი“, ავქ. ცაგარლისა. ხარჯს გარდა წარმოდგენიდგან წმინდა შემოსავალი დარჩა 30 მ. და 43 კაპ. ეს ფული მაშინ გარდაეცა მამა სერაფიონ კალანდაძეს ხიდისთავის სამკითხველოს გამგეთათვის ჩასაბარებლად. მაგრამ მას აქეთ, როგორც მოგეხსენებათ, აგერ ათი თვე გადის და როგორც ნამდვილად ვიცით, ზემოხსენებული ფული მამა სერაფიონს ხიდისთავის სამკითხველოს გამგეთათვის არ გადაუცია და ვერც ის გავიგეთ, თუ სად არის დღეს ის ფული.

ამისათვის ვთხოვთ მამა სერაფიონ კალანდაძეს გაზეთის საშუალებით გამოაცხადოს (რადგანაც სხვა გზით ვერ გავიგეთ): შესწირა ზემოაღნიშნული ფული რომელსამე საქველმოქმედო საქმეს, თუ დღესაც იმასა აქვს შენახული? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ფული ჯერ-ჯერობით კიდევ თვით მამა სერაფიონს უნდა ჰქონდეს შენახული, რადგანაც მას არავითარი უფლება არა ჰქონდა სხვა რამ საქმისათვის შეეწირა და თუ ეს ასეა, იმედია პატივცემული მღვდელი მამა სერაფიონ კალანდაძე მიბარებულს ფულს ეხლა მაინც გარდასცემს დანიშნულებისამებრ, მით უმეტეს, რომ არასოდეს არ ესაჭიროებოდა ჩვენს სამკითხველოს დახმარება ისე, როგორც ეხლა.

სარდიონ ბეჟ. მამალაძე
გერონტი ლაზ. კალანდაძე

◆ ◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 ივნისი

პეტერბურგი. ბიულეტენი: მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული თავს კარგად გრძნობს. მშობიარობის ხანა საუცხოვოდ ბოლოვდება. დიდის მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულის ჯანმრთელობაც მეტად კარგად არის.

პარიზი. ელჩები კონსტანტინეპოლში ჯერ ისევ ჰბჭობენ. განსახილველად შემდეგი საგნები აქვთ: თესალიის საზღვრების გამიჯვნა, სამხედრო კონტრიბუცია და კაპიტულიაციის შესახებ საქმეების გარდაწყვეტა.

პარიზი. რომიდამ იუწყებიან დეპეშით, რომ ახალმა რუსეთის ელჩმა ჩარიკოვმა პირველი დარბაზობა გარდაუხადა კარდინალს რამპოლლასა. კარდინალმა მადლობა გარდაუხადა რუსეთის დიპლომატს, რომ თავისის მთავრობისაგან თანხმობა მიუტანა რუსეთში შვიდის რუს-კათოლიკეთა ეპისკოპოსის დანიშვნის დამტკიცების შესახებაო.

„ტაიმს“-ში დაწვრილებით არის აღნიშნული ინგლის-ჩინეთის ახალი ხელ-შეკრულობა. ინგლისთან შეთანხმებისაგამო ჩინეთი უთმობს იუნანში მთელ მხარეს 400 ოთხ. კუთხ. მილს და იჯარით აძლევს ჩინეთსა და ბირმანიას შორის მთელს ტერრიტორიას. გარდა ამისა ჩინეთი თანხმობას აცხადებს, რომ ინგლისმა იუნანში თავისი ელჩები იყოლიოს და ჰპირდება ამ ვეებერთელა მხარეს ორი ქალაქი ვაჭრობისა და წარმოებისათვის გახსნას. დასასრულ, ინგლისი კონცესიას მიიღებს დაედადამ ბირმანიის აღმოსავლეთ საზღვრამდე რკინის გზის გასაყვანად.

ვაშინგტონი. ჰავაის კუნძულთა შეერთებულ შტატებთან შეერთების ხელ-შეკრულობას ორთავ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს. იაპონიის წარმომადგენელმა ამის გამო შეერთებულს შტატებს წერილობითი წინააღმდეგობა წარუდგინა.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივნისი

	მყიდვე-ლისა.	გამყიდ-ველისა.	გარიგე-ბისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ მანეთიანი ოქრო	— „	— „	— „
$5^0/_0$-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა	$206^1/_2$	— „	— „
$4^1/_2{}^0/_0$ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	$100^3/_8$	— „	— „
$6^0/_0$ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	102	— „	— „
$5^0/_0$ იმავე ბანკისა.	$99^3/_8$	— „	— „
$6^0/_0$ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	102	— „	— „
$5^0/_0$ იმავე ბანკისა.	$99^1/_2$	— „	— „
$5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	— „	— „	— „
$5^0/_0$ პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	$284^1/_4$	—	— „
$5^0/_0$ მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	—	$246^1/_4$

წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ ამ წლის 96 №-ში სიღნაღის მაზრის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე მ. ი. მირიანაშვილი თავის მთავარ-დიაკვნის მ. ი. მირიანაშვილის პირით თავს იმართლებს, ვითომც მას, ე. ი. მ. ი. მირიანაშვილს, თავის მაგივრად არ გაეგზავნოს მ. ი. მენთეშაშვილი ს. ზემო მაჩხაანში იმის შესატყობლად, ჰსურთ თუ არა ზემო-მაჩხაანის მცხოვრებლებს იმათ სოფელში ორ-კლასიან საეკლესიო—სამრევლო სკოლის დაარსება ზოგიერთის პირობების აღსრულებით მათის მხრივ.

მამა ი. მენთეშაშვილი ბძანებს, რომ „რადგანაც გზად ვიყავი, მეთვალყურემ სიღნაღის მაზრის მამა ი. მირიანაშვილმა გამატანა ქაღალდი ბლაღოჩინ-მღვდელ კირილე ღვთისავრიშვილთანა.“ საკვირველია, ღმერთმანი, თუ „გზად იყო“ მ. ი. მენთეშაშვილი და ბლაღოჩინ-მღვდელს მარტო „ქაღალდის პასუხი“ უნდა გაეტანებინა, მაშ რიღასთვის ჩაბძანდა საღამოს მთავარ-დიაკვანი (ბლაღოჩინთან დილიდგანვე იყო ჩამოსული) მეორე წმ. გიორგის ეკკლესიის მოედანზედ, სადაც სოფლის პირველი ოჯახიშვილები იყვნენ შეკრებილნი, რომელთაც თავის ჩამოსვლის მიზეზი გამოუცხადა. აქ დამნაშავედ უნდა ვიგულისხმოთ ან მ. ი. მირიანაშვილი, რომელმაც მიანდო ამ დიდმნიშვნელოვან საქმის აღსრულება თავისს მთავარ დიაკვანს, ყოვლად მოუმზადებელს ამ საქმისთვის; ან არა და თვით მთავარ-დიაკვანი, რომელმაც გადაამეტა თავისს უფლებათ, ამიტომ „მტკნარი სიცრუე“, მ. მთავარ-დიაკვანო, ეს-კი არ არის, არამედ თქვენ-მიერ ბძანებული, რომ „ხალხს არ ველაპარაკე და ხალხიც წინააღმდეგი არ იყოო“.

რაიც შეეხება თვით მაზრის მეთვალყურის მოქმედებას ორ-კლასიან სკოლის დაარსების შესახებ ს. ზემო-მაჩხაანში, იგი მარტო ერთხელ იყო ზემო-მაჩხაანში და სოფლელებს აუწყა მთავრობის სურვილი, რომ მათ სოფელში დაარსდეს სკოლა ზოგიერთის პირობის აღსრულებით მათის მხრივ. დანარჩენ დროს, ორ თვის განმავლობაში—მას არ უნებებია ჩამობძანება.

ზემოური

◆

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

მატარებელის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში საღ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ., მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში საღ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში [illegible] 6 ს.

უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 8 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, მთავარ-მართებლის სახლის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება სამზრუნველოს განყოფილების საბჭოს მორიგ წევრთა ამოსარჩევად და საზოგადოების 1895-96 წ. წ. მოქმედების ანგარიშის განსახილველად. (1—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 5 го Юнія 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.